572
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1981 ოქტომბერი №10

# დილა

ნოდარ
კეკელიძე

# საჩუქარი

მამამ სანდროს ქალაქიდან მოსწავლის ფორმა ჩამოუტანა:

— აბა, შვილო, ახლა შენ იცი, როგორც მოეკიდები სწავლას! არ შეგვარცხვინო. ამიერიდან ვაჟკაცი ხარ და ვაჟკაცივით უნდა მოიქცეო.

ბებიამ ხელდახელ ჩააცვა ფორმა, თავზე ქუდი ჩამოაცვა და სარკის წინ მიატრიალ-მოატრიალა.

სანდროს შინ აბა რაღა გააჩერებდა, ორღობეში გავარდა. მიდის, მიაბოტებს და აქეთ-იქით იცქირება, მამჩნევენ თუ არა მეზობლებიო.

ბოლოს ერთ ჭიშკართან შედგა. ფორმაზე თავმომწონედ დაიხედა, კუტიკარი შეაღო და ეზოში შევიდა.

— ლექსოო! — დაიძახა.

აივანზე ლექსოს მამა, ძია ნიკო გამოვიდა, — ლექსო შინ არ არის! — უთხრა და ღიმილით დასძინა, — ოჰო, გეტყობა სკოლისათვის გამზადებულხარ, ფორმა ჩოხასავით მოგრგებია. მშვიდობაში!

სანდრო ძია ნიკოს დაემშვიდობა და წავიდა. მიდის ორღობეში, მიდის და გზად მეველე ყარამანი შემოეყარა, ბეჭებზე კომბალი ჰქონდა გადებული, ხელები ზედ ჩამოწყობილი, და მოღიღინებდა.

— სანდროს გაუმარჯოს! — მიესალმა ყარამანი ბიჭს, — ეს რა კარგი შარვალ-ხალათი გაცვია!

— მოსწავლის ფორმაა, ხვალ სკოლაში მივალ, ძია ყარამან! — სიამაყით უპასუხა ბიჭმა.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და სანდრო გულისფანცქალით მიადგა ცისფრად შეღებილ ჭიშკარს. ეს ნათიას კარმიდამოა. ოო, როგორ სწადია სანდროს, ნათიამაც შენიშნოს, რომ მას მოსწავლის ახალთახალი ფორმა აცვია.

ნათიას თუთის ქვეშ ცალი ფეხი აეკანჭურებინა და ასკინკილით თუთას გარს უვლიდა. სანდროს ჩაეცინა, მერე ხმამაღლა ჩაახველა და ნათიასაკენ გაეშურა. ნათიას გაეხარდა სანდროს დანახვა, ენად გაიკრიფა. სანდრო კი დგას ერთ ადგილას სარგადაყლაპულივით და შუბლქვემოდან შესცქერის ნათიას.

ნათია უცბად ადგილიდან მოწყდა და მესერზე მიბმული სახედრისაკენ გაქანდა.

— სანდრიკო! მოდი რა, სახედარს კუდზე ვარცლი გამოვაბათ და ვაცურავოთ!

— გაგიჟდი? — შუბლი შეიკრა სანდრომ.

— მაშინ იცი რა? მოდი, ხეზე ავიდეთ და იქიდან წიწილებს კენჭები ვესროლოთ, გინდა?

— წიწილებმა რაღა დაგიშავეს! — ჩაიბუზღუნა სანდრომ.

— რა დაგემართა, ბიჭო! რაო, დღეს ხასიათზე არა ხარ?

— ძალიანაც კარგ ხასიათზე ვარ, მაგრამ პატარები ხომ აღარა ვართ!

— ოჰო! — თავი გადააქნია ნათიამ, ხელები უკან დაიწყო და სანდროს ირგვლივ წრე დაარტყა, — შენ რა, სანდრიკო აღარა ხარ?

— ეჰ, დამანებე თავი! — ხმა გაებზარა ბიჭს, შებრუნდა და ჭიშკრისაკენ გასწია, ჭიშკარში გავიდა და ორღობეს ზევით აჰყვა, მერე გვერდზე გაუხვია და ლევანის ეზოში შევიდა.

სანდროს ძალიან უყვარს ლევანი და თანაც ებრალება — მამა არა ჰყავს და ნაადრევად დაობლებული ბიჭი დედის ანაბარა იზრდება...

—ლევან წამო, წყაროზე ჩავიდეთ, კაკლებთან ბიჭები ლახტაობენ.

— მერე ახალი ფორმა რომ დაგეხეს! მე რომ მქონდეს მასეთი ფორმა, როგორ გავუფრთხილდებოდი!

სანდროს საქციელი წაუხდა, ერთხანს უძრავად იდგა, მერე ადგილს მოწყდა და ჭიშკარს ეცა, სწრაფად მიირბინა შინ, ტანთ გამოიცვალა, მოსწავლის ფორმა სათუთად შეახვია, ამოიიღლიავა და ისევ ლევანთან გაიქცა.

— ლევან! აქ მოსწავლის ფორმაა, გამომართვი!

—მერე შენ? — გაიკვირვა ლევანმა.

— მეე? — გაეცინა სანდროს, — ეს ბიჭო, მეორეა, მამამ ორი ფორმა ჩამომიტანა, აილე, აილე!

ღამით სანდრომ ბებიას გაანდო ფორმის ამბავი. ბებიამ გულში ჩაიკრა ბიჭი, — გენაცვალოს ბებია, შვილო! აი, ახლა მართლა დამივაჟკაცდიო!

# კონსტრუქტორი

ემზარ კვიტაიშვილი

იატაკზე გაშალა
დათომ ბარგი-ბარხანა,
ააშენა სასტუმრო,
სტადიონი, ქარხანა...
მოედანიც გამართა,
მტკვარზე გასდო ხიდები,
დადგა მოაჯირები
ხელის ჩასაჭიდები.
მანქანები დაქოქა,
ატყდა ერთი გრიალი,
«ფიატების», «ვოლგების»
არის ორომტრიალი.
არ ჩანს ქვა და აგური.
არც ასფალტი აგია.
მაინც იტყვი: რა კოხტა,
რა სუფთა ქალაქია.
უცებ, როგორც ზღაპარში,
სად იყო და სად არა,
შემოვიდა კრუტუნით
ფისუნია პატარა.
განა ცუდი განზრახვით,
ან ჩუმად, ნამალავად,—
გასართობად, უბრალოდ
თათი გაჰკრა გალავანს.
არ ელოდა, რაც მოხდა,
უნდა გითხრათ მართალი,
გადაქანდა კედელი,
ძირს მოიღო ზღბრთანი.
ერთი ზომის, ერთი წონის,
მჭიდროდ შენატყუპები,—
აირია, დახვავდა
ნაირფერი კუბები.
იქით ამწე აგდია,
აქეთ—ქარხნის მილები,
დაენარცხა სვეტები,
მწკრივად ჩაწყობილები.
აყირავდა სასტუმრო
ლალად წამომართული,
ერთიანად დაშვავდა
ოცდახუთი სართული.
გარბის კნუტი დამფრთხალი,
ვერ ეწევა მდევარი,
წამში გააპარტახა
ბიჭის ნამუშევარი.
დათო ფისოს გასძახის:
გასწი, სადაც გენებოს,
გავიზრდები, ყველაფერს
ნამდვილს ავაშენებო.



# იყო ერთი სპილო

სულხან აბდალაძე

იყო ერთი სპილო,
დიდი,
სასაცილო.
მოსწყურდა და დინჯად
ზედ მიადგა გუბეს.
აყაყანდნენ ბაყაყები:
— ახლა დავილუპეთ!
ეი, სპილოვ, დიდყურავ,
ყურში მართლა ბამბა
გაქვს.
ამ საყვარელ გუბეში
ვცხოვრობთ ათა-ბაბადან.
აბა, რა დაგიშავეთ,
რად ხარ სამტროდ
მოსული? —
სპილომ ყური არ ათხოვა,
წყალში ჩაჰყო ხორთუმი,
— ხაპ,
— ხაპ,
— ხაპ — და სწრაფად
გუბე ამოხაპა.
—ამ დარდს როგორ
ავიტანთ,
ყველა ერთ დღეს
გავწყდებით! —
შესჩიოდნენ ჩვენს სპილოს,
ყიყინებდნენ საწყლები.
სპილო რისი სპილოა, —
ყველას უთხრა ნუგეში,
თავის გრძელი ხორთუმი,
კვლავ ჩაუშვა გუბეში
და ის წყალი მთლიანად
დააბრუნა უკანვე.
ეს უნდოდათ ბაყაყებს,
დაფა-ზურნას უკრავენ.
წყალი ჩადგა გუბეში,
წყალი სუფთა, ანკარა!
ბაყაყური მოუსვა
ყველამ — დიდმა, პატარამ.
რა ვაშა და ზეიმი,
და დავლური გაჩაღდა...
რა კარგია ძლიერი
სუსტს რომ წყალობს,
არ ჩაგრავს.

მხატვარი გიორგი ჩოინიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლის საჯინიბო

ალექსანდრე დიდებაშვილი

მაკვეთილი დამთავრდა და მასწავლებელმა ბავშვებს გამოუცხადა, ყველანი ტყე-პარკში მივდივართო.

მესამეკლასელები სიხარულით ფეხზე ველარ იდგნენ. ტყე-პარკში ყოფნას რა სჯობს! არც მანქანების გუგუნი შეგაწუხებს, არც მატარებლის შეკივლება, არც მტვერი და არც დახუთული ჰაერი. უსმინე ფოთლების შარიშურს, ჩიტების საამო ჟღურტულს. მიდი და ირბინ-იხტუნე, რამდენიც გინდა...

აჟრიამულებული კლასი სკოლის ეზოში შეიკრიბა. ირაკლიმ თავის მერხის ამხანაგს ჩაჰკიდა ხელი, გიამ — ლიას, რეზომ — თინას, თამაზმა — თამრიკოს... მასწავლებლის წინამძღოლობით გადაკვეთეს მანქანებით სავსე ქუჩა, გაიარეს ქალაქის გარეუბანი და ტყე-პარკში შევიდნენ.

ირაკლიმ და ვახტანგმა მასწავლებელს სთხოვეს, კარუსელზე შევსხდებითო. თანხმობა მიიღეს თუ არა, მოკურცხლეს. მათ სხვებიც მიჰყვნენ.

ირაკლი ცხენს მოახტა. ვახტანგი ორკუზიან აქლემზე შეჯდა, ლია და თამარი — სირაქლემებზე, სხვებმაც გაინაწილეს თავიანთი საყვარელი ცხოველები.

მეკარუსელე პაპა ანდრომ კარუსელი ჩართო.

ირაკლის ცხენმა ჯერ ნელა გამართა მუხლი, მერე თანდათან უმატა, ბოლოს გაჭენდა და გაჭენდა, ფლოქვების ცემის ხმა მიდამოს ეფინებოდა. ირაკლიმ სადავეს მაგრად ჩასჭიდა ხელი და ცხენი მიუშვა...

...ცხენმა ქუჩა გადაჭრა, მანქანებს გვერდი აუარა. ქარივით გაფრინდა. თითქოს უკან მიჰქროდნენ გზის პირებზე მდგარი ხეები და ბოძები... ბიჭმა იცნო გზა, — ცხენი ბებოს სოფლისაკენ მიჭენაობდა. გაუხარდა ირაკლის. რამდენი ხანია ბებო არ უნახავს, ძალიან მოენატრა. ბებოსაც როგორ გაუხარდება ირაკლი რომ ცხენით მიადგება ჭიშკარს, ერთი ამას დამიხედეთო, — იტყვის, — რა ვაჟკაცი გაგვეზარდა, რა ცხენოსანი შვილიშვილი მყავს, ამას ენაცვალოს ბებოო...

...ეზოში ჩამოხტება მხედარი, ბებო გადაკოცნის — ისე, რომ იცოდე, ჩემო ბებო, ძალიან მეჩქარება, ამხანაგები მელიან, მალე უნდა დავბრუნდე!..

— კარგი, შვილო, რახან ეგრეა, არ დაგაგვიანებ, შენთვის ბლომად ხილი მაქვს გადარჩეული. ხურჯინში ჩაგიწყობ.

მალე ბებო ხურჯინს გამოიტანს და ცხენს გადაჰკიდებს. ბიჭი ბებოს გამოემშვიდობება და ცხენს უკან გამოაჭენებს... ჩამოურიგებს ამხანაგებს წითელქურა ვაშლებს, დამკრახულ ყურძენს, ქარვასავით მსხლებს...

...უცებ თითქოს დაიღალა ცხენი, სირბილს უკლო... მხედარმა ქუსლები შემოარტყა ფერდებში, მაგრამ ცხენს არა ეშველა რა... ნელ-ნელა მიჩაქჩაქებს, მიჩაქჩაქებს და... ბოლოს სულ გაჩერდა...

ირაკლი ამხანაგების კისკისმა გამოარკვია ოცნებიდან.

ისინი კარუსელიდან ჩადიოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





## მზისა და მთვარის დავა

მთვარემ უთხრა მზესა: აუცილებლად მე გჯობივარ. როდესაც ღამეა და ბნელა, დედამიწას მე ვფენ სინათლეს და ხალხს ვეხმარებიო.

მზემ უპასუხა: რეგვენი რომ არ იყო, მაგას არ იტყოდი, შენცა და დედამიწაც ჩემს გარშემო ტრიალებთ, მე ვათენებ და ვაღამებ კიდევაც. ისიც იცოდე, უმზეოდ ვერც მცენარეები გაიზრდებიან; ვერც ადამიანები და ცხოველები იცოცხლებენ. ხოლო შენი მკრთალი სინათლე ჩემი სხივების ანარეკლიაო.



მიხა შილდელი

## ნაშრომი ხელები

საღამოხანს მამა ვენახიდან დაბრუნდა. მზია შეეგება, ხელებზე შეხედა და უსაყვედურა: ეს რა კუჟყიანი და უხეში ხელები გაქვს. ნათელა მასწავლებელი ასეთი ხელებით კლასში არ შემიშვებდა, შემარცხვენდაო. მამამ უპასუხა: ეს კუჟყი კი არა, შაბიამნის ხსნარია, ვენახის შეწამვლის დროს გადამესხა ხელებზე. თბილი წყლით ხელი დამაბანინე და ახლავე გამცილდება. რაც შეეხება იმას, ხელები რომ უხეში და კოჟრიანი მაქვს, ეს მუდმივი შრომის ბრალია და სასირცხვილო კი არა, საამაყოაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარდი და ასკილი

ერთ ბაღში ლამაზი წითელი ვარდი დარგეს. ბაღის ღობეში კი თავისით ამოვიდა ასკილი.

ვარდმა შეხედა ასკილს და უთხრა: რას გავხარ? რა უშნოდა ხარ გაბარდული. მებაღე რომ მოვა, ძირიანად ამოგაგდებსო. ასკილმა უპასუხა: შენსავით ლამაზი არა ვარ, მაგრამ სამაგიეროდ გამძლე და ღონიერი ვარ. არც მიწას მიფხვიერებენ, არც წყალს მისხამენ და ხომ ხედავ, შენზე ლაღი ვიზრდები. შენისთანა ლამაზ ვარდებს ჩემს ფესვებზე და ღეროზე ამყნობენ, რომ უფრო გამძლე გახადონ. ახლა კიდევ ჩემი ნაყოფი! ვიტამინებით არის სავსე და მის ნაყენს ადამიანები წამლადა სვამენ. ასე რომ, დიდად ნუ მოგაქვს თავი, ადამიანისთვის შენზე მეტი სარგებლობა მე მომაქვსო.





# ყველაზე ტკბილი

სკოლიდან დაბრუნებული ქეთინო პაპას მივარდა, აბა, თუ გამოიცნობ, რომელი ხილია ყველაზე ტკბილი? დღეს ჩვენ ასეთი შეკითხვა მოგვცა მასწავლებელმა. ათასნაირად უპასუხეს. მე კი ვუთხარი, ყველაზე ტკბილი ფინიკის ხურმაა-მეთქი.

— არა, ბაბუ, ხურმაზე ტკბილი ჩვენი ყურძენია, კარგი მსხალი, ლეღვი და ატამიც. საერთოდ კი იცოდე: ყველაზე ტკბილი საკუთარი შრომით მოწეული ხილი და ქირნახულია.

მხატვარი ზაურ დეისაძე





იორამ ქემერტელიძე

# მრავალფეხა

ყველამ იცის მრავალფეხას
მრავალფეხა რატომ ჰქვია:
მთელი ტანი გაუსხეპავ
ხის შორივით დატოტვია.
ერთი სიტყვით, უამრავზე
უამრავი ფეხები აქვს,
თანაც მარდი, ისე მარდი,
მიწას არც კი ეხებიან.
ასი ფეხი რომ იტკინოს,
რისი ასი ან ხუთასი! —
უკანაც არ მოიხედავს,
ისე ჩავა კალკუტაში.
ეს კი არა, არც კი იცის,
მართლა ფეხი რამდენი
აქვს...
ადგება და ვარჯიშს იწყებს
ყოველ დილაგამთენია:
ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ფეხი წინ და ფეხი განზე...
თვლა არ უნდა? უთვალავი
ვინ დათვალა ქვეყანაზე!

ერთი, ორი
ოცი, ასი,
მრავალფეხა მოდის, შეხეთ!
პო, პო, სცივა,
ისე სცივა,
სიმწრით ფეხებს ურტყამს
ფეხებს...
დაინახა მალაზია,
აგე, ცოტა მაღალზეა!
აირბინა კედელ-კედელ,
მოუხვია, შეუხვია
და ღრიჭოში ისე შეძვრა,
კარი არც კი შეუღია.
გაუხარდა დახლიდარს, —
ყველა წინდა გაყიდა...
რა წინდა ეყოფოდა
მრავალფეხას უმეცარს!
დაჯდა, ყველა ჩაიცვა,
ყელიც ჩამოუკეცა;
გადახედა მერე ფეხებს,
წაიგრძელა კისერი:
უამრავი ჩაცმული აქვს,
უამრავი — შიშველი!..

* * *

ერთი, ორი,
ოცი, ასი,
მრავალფეხა მოდის, შეხეთ!
პო, პო, სცივა,
ისე სცივა,
სიმწრით ფეხებს ურტყამს
ფეხებს...
დაინახა მალაზია, —
ისიც ცოტა მაღალზეა!
აირბინა კედელ-კედელ,
მიუხვია, შეუხვია
და ღრიჭოში ისე შეძვრა,
კარი არც კი შეუღია.
გაუხარდა დახლიდარს, —
ყველა ბოტი გაყიდა...
რა ბოტი ეყოფოდა
მრავალფეხას უმეცარს!
დაჯდა, ყველა ჩაიცვა,
ყელიც ჩამოუკეცა;
გადახედა მერე ფეხებს,
წაიგრძელა კისერი: .
უამრავი ჩაცმული აქვს,
უამრავი — შიშველი!..

* * *

ერთი, ორი,
ოცი, ასი, —
მრავალფეხა მოდის, შეხეთ!
პო, პო, სცივა,
ისე სცივა,
სიმწრით ფეხებს ურტყამს
ფეხებს...
დაინახა მალაზია, —
ეს კი ცოტა დაბალზეა!
აირბინა კედელ-კედელ,
მიუხვია, შეუხვია
და ღრიჭოში ისე შეძვრა,
კარი არც კი შეუღია.
გაუხარდა დახლიდარს, —
ყველა ჩექმა გაყიდა.
რა ჩექმა ეყოფოდა
მრავალფეხას უმეცარს!
დაჯდა, ყველა ჩაიცვა,
ყელიც ჩამოუკეცა;
გადახედა მერე ფეხებს,
წაიგრძელა კისერი:
უამრავი ჩაცმული აქვს,
უამრავი — შიშველი...

* * *

ქვეყანაზე მრავალფეხა
ახლაც ფეხით მიდი-მოდის,
ზოგზე წინდა წამოუცვამს,
ზოგზე — ჩექმა,
ზოგზე — ბოტი..
ახლაც ისევ ძველებურად,
სადაც ნახავს მალაზიას, —
სულ ერთია, მალაზია
დაბალზეა, მაღალზეა, —
გაუყვება კიბე-კიბე,
რიკულ-რიკულ, კედელ-
კედელ,
იყიდება ბოტი, წინდა,
ჩექმები და... ასე შემდეგ.

* * *

ნამეტანი, ნამეტანი
უხარიათ დახლიდრებს —
ყველა ბოტი,
ჩექმა, წინდა —
ერთიანად დაყიდეს.
მაგრამ ქვეყნად რაც ჩექმაა,
ბოტი,
წინდა — ერთად ყველა —
მაინც, მაინც არ ეყოფა
მრავალფეხას ჩასაცმელად.
ასი ფეხიც რომ მოყინოს,
რისი ასი ან ხუთასი! —
სხვები ხომ აქვს, ვერც
გაიგებს,
თუგინდ ჩავა კალკუტაში.





მხატვარი
მანანა-მორჩილაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

# ბრძენი კუ



კუმ იფიქრა: მოდი, რაც ქვეყანაზე სიბრძნეა, შევაგროვებ და დედამიწაზე ყველაზე ჭკვიანი ვიქნებიო. ადგა, მწარე გოგრა გამოქურთნა, მხარზე გადაიკიდა და გზას გაუდგა. სადაც კი სიბრძნეს წააწყდებოდა, გოგრაში ტენიდა, თავს ნაქურჩალით უცობდა — არსად გამექცესო.

ბევრი იხეტიალა თუ ცოტა, ბოლოს დარწმუნდა: რაც ქვეყანაზე სიბრძნეა, ყველა მოვაგროვეო. ახლა კი, მოდი ამ გოგრას ერთ მაღალ ხეზე დავკიდებ, არავინ მომპაროსო.

გოგრას ვიწრო ყელზე თოკი შეაბა, ბაწარი მხარზე გადმოიკიდა და ხეზე აცოცება დაიწყო; არაფერი გამოუვიდა: რამდენჯერაც სცადა, გოგრა იმდენჯერ ჩამოვარდა. უცებ ზურგს უკან სიცილი მოესმა. მიიხედა და მოხუცი კაცი დაინახა.

— სულელო, — იცინოდა მოხუცი, — თუ ასე ძალიან გინდა ხეზე ასვლა, გოგრა წინ კი ნუ გაქვს ჩამოკიდებული, ზურგზე გადაიკიდეო.

ასეთი ჭკვიანური რჩევა რომ გაიგონა, კუმ იფიქრა: კიდევ დარჩენილა სიბრძნე ქვეყანაზეო.

გაბრაზდა. ამოდენა დრო ტყუილად დავკარგეო, — თქვა და გოგრა მიწაზე დაახეთქა.

გოგრა გასკდა, ქარმა დაუბერა და სიბრძნე დედამიწაზე მიმოიფანტა.

მასუკან სიბრძნე ყველგან არის, ოღონდ პოვნა უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# რატომ არ სძინავს ღამით ბულბულს

ლეგენდა

ნაზია ბულბული. ნაზი და ლამაზი. ღამღამობით საამოდ გალობს. სმენას ატკბობს. მაგრამ ბუტიაა. დამდურება იცის... თუ ვინმემ მის პაწია ბუდეში დადებულ კვერცხებს ხელი შეახო, გაწყრება და გაფრინდება სადმე შორს, იმ არემარეს აღარ გაეკარება, გული არ მოუბრუნდება.

იციან ადამიანებმა ბულბულის ეს ხასიათი და ამიტომაც ხელს არ ახლებენ მის ბუდეს. როგორ გაბედავენ ღამის მგოსნის გაჯავრებას!

მაგრამ რატომ არ სძინავს ბულბულს ღამით?..

ერთ გაზაფხულზე, როდესაც ბუნება იღვიძებდა, იფურჩქნებოდა ველზე ყვავილი, ბაღში — ვარდები, ვენახში — ვაზი, თურმე ბულბულს, გალობით დაღლილს და უძილოს, ვენახში, ახლადშეფოთლილი ვაზის ლერწზე ჩაეძინა. ღამით ლერწს ულვაში — შხანკო წამოეზარდა და ჭიგოს შემოეხვია, რომ ნორჩი და სათუთი ვაზი ქარს არ გადაეტეხა.

...ჰოდა მძინარე ბულბული დაება; გაეღვიძა, გაიბრძოლა, მაგრამ ამაოდ... გარიჟრაჟისას რის ვაივაგლახით დააღწია თურმე თავი ტყვეობას. მაშინ თქვა თურმე ბულბულმა, ღამით აღარასოდეს დავიძინებო. და მართლაც, მას შემდეგ ღამღამობით აღარ იძინებს, გალობს და გალობს, ვიდრე თეთრად არ შემოათენდება. გარიჟრაჟზე კი, როდესაც მზის პირველი სხივები ფოთლებს გაეთამაშება, მიყუჩდება და მიეძინება.

# მზე იცინის

ნაირა გელაშვილი

## ანას ნანა

მოვიდა ღამე ლურჯთვალა
და ანას შემოუთვალა
ვარსკვლავებისა პირით:

მოგიტან სიზმრებს
უთვალავს,
შენ ჩემზე უფრო მუქთვალა,
ოღონდ დაეხსენ ტირილს.

მოდის პანია სიზმარი,
რძისფერი და უჩინარი,
მოჰყვება მთვარის ბილიკს...

## მთვრალი ღრუბელი

მოდის მთვრალი ღრუბელი,
დაინახა ძირს ბელი.
— გამარჯობა, ბელო!
— გაგიმარჯოს, ღრუბელო!
— რა გახარო, ბელო!
— რა, მახარობელო?
— გადავწყვიტე ასე:
აგიყვანო ცაზე,
გატარო ჩემთანა,
გაჩვენო ქვეყანა.
აბაჯბაჯდა ბელი,
სიხარულით სავსე,
ჩამოეშვა ღრუბელი,
ჩაეჭიდა თათზე.
და გაუდგნენ გზასა,
გზასა — ფაფუკ ცასა,
და ღრუბელი ნამსვე
იმ ბელს დაემსგავსა.
ცაზე მიდის უდარდელი,
მხიარული ორი ბელი.
აქეთ — ნამდვილი ბელი,
იქით — ღრუბელი-ბელი.

## ფანტელი

რომ იცოდეთ, რა იყო,
რომ იცოდეთ, რა მოხდა.
ერთხელ ერთი ფანტელი
ციდან მარტო ჩამოხტა.
იდგა შუა ზაფხული,
რის ყინვა და რა ქარი,
ყვავილები ყვაოდნენ,
ჯერ სად იყო ზამთარი.
„აღარ მინდა, მომბეზრდა,
სულ ზამთარი, ზამთარი,
ნეტავ გამაგებინა
გაზაფხული სად არი?“
ფარფატა და ნათელი
ჩამოფრინდა ფანტელი,
გულყვითელას დაეცა,
მოჰგვარა ჭრუანტელი.
შეეშინდა ბილილას:
რა გინდა და ვინა ხარ?
ასე ცივი პეპელა
არასოდეს მინახავს.
აფრინდა და დაფრინდა
ფარფატა და ნათელი,
მთელ მინდორ-ველს გაეცნო
მხიარული ფანტელი...
ქათქათას და უცოდველს
ყვავილები უხმობდნენ:
ფანტელ-ფანტელ-ფანტელო,
— მოდი, გენაცვალები!..
...სათითაოდ დაკოცნა,
გაუგრილა თვალები.

იოსებ აფციაური

## ქოსატყუილა

— სად გიომია, გელაო,
რამ გაგიტეხა ისარი?
— გუშინ ჩემს გოგრებს
დაეცნენ
ლაშქარნი ქაჯებისანი,
ხმალი დავკარი შინდისა,
ელვა ვიხმარე ცისანი.
დევები ჩამოეშველნენ,
დევები ალგეთისანი.
მივთიბდი, მივგავ-
მივლეწდი,
შუქნი მიძღოდნენ მზისანი,
ტალღა მებრძოდა შავ
სისხლის
ტბისა და მორევისანი.
დევს რომ ბეჭიდან ავაძვრე,
მაშინ გამიტყდა ისარი.

## ხარბი

ატი-ბუტა,
ბატიბუტა,
კოხტა ბიჭი გაიბუტა.
სამ ხინკალზე იუარა.
ას ხინკალთან მიდგა სკამი,
ას ხინკალი ვერ შეჭამა,
ერთი ჩიჩქი ვერ შეჭამა,
ერთი ჩიჩქი ცხვრის ბარკალი.
დაითრია ცხვრის გადაყარა,
ნამცეცები გადაყარა,
აიკიდა თონის პური.
ერთი კოვზი რძე დალევარა,
ჩამონველა ათი ფური.
ატი-ბუტა.
ბატიბუტა კოხტა ლეთისო,
გაიბუტა მინდა, ირმის მწვადზე
შინ რა მინდა, ირმის მწვადზე
ზაყბაყდევი მეძახისო.

## მერცხალო

— მერცხალო მაკრატელაო,
დაჯე, მთის მითხარ ამბავი.
— ნიგნს ვეძებ დედაენასა —
შვილებს ვასწავლო ანბანი.
• • •
ბიჭმა მკითხა პატარამ:
— საქართველო სად არი?
— საქართველო სად არი?
გინდა გითხრა მართალი?!
სადაც კარგ ლექსს ამბობენ,
იავნანას მღერიან,
სადაც ყვავილს ზამთარშიც
ყელი მოუღერია.
სადაც დედის ღიმილი
მზემ სხივებად მოჰფინა!...
— მაშ, დაიას აკვანთან
საქართველო ყოფილა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წია-წია!—კრუხ-კრუხ-კრუხ!

მხატვარი ნანა სულემენაშვილი



დარბაისლური კრუხ-კრუხით მიმოდის ეზოში კრუხი, უკან წიავ-წიავით დასდევენ ღუნღულა, ფაფუკი წიწილები...

— დედიკო, მშია!

— აჰა, აი ეს ჭიაყელა შენ და ყვითელას! ესეც გულთეთრას და ჭრელას.

— მე?—წიაქობს შაუნა.

— შენც მოგცემ, შვილო! მაგრამ თვითონაც ეძებე! შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, დებსაც კი უნდა დაეხმარო!

— რა საყვარლები არიან!—წამოიძახა სოფელში პირველად ჩასულმა პატარა თინიკომ წიწილების დანახვაზე.—გოგლიკო, არ გინდა, ჩვენცა გვყავდეს! მოდი, ბებოს კვერცხი ვთხოვოთ, დავრგოთ და წიწილა ამოვა!

მეზობლიანთ დათას თავშეკავებულად გაეღიმა:

— ქალაქელი ხარ და არ იცი. განა წიწილა ყვავილია, მიწიდან ამოვიდეს. კვერცხიდან იჩეკება ეგა.

— როგორ იჩეკება?

— როგორ და, ქათამი რომ კვერცხებს დადებს, დააჯდება საბუდარში და ათბობს, დიდხანს... ბევრი დღე გავა, დატყდება კვერცხები და დაიჩეკებიან წიწილები.

ბავშვების საუბარს თინიკოს და გოგლას უფროსმა ბიძაშვილმა, სტუდენტმა გოგიმ მოჰკრა ყური.

— მოდით აქ, ისეთ რამეს გიამბობთ, რომ ეგ ნამდვილად დათასაც არ ეცოდინება.

ბავშვები გოგის შემოეხვივნენ.

— აი რა, ბავშვებო! ხომ გესმით, კრუხი და წიწილები როგორ მუსაიფობენ, ერთმანეთისა ნამდვილად ესმით! ჰოდა, დიდი ხანი არ არის, რაც ამერიკელმა

# სიხარულის წყარო

შუაგულ ტყეში ჯერ მთლად ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ ჯმუხი ხე იდგა. მის დაბურულ ტოტებქვეშ კი პაწაწინა ნაკადული მირაკრაკებდა.

ერთ მშვენიერ დღეს ხე ნაკადულს გამოელაპარაკა:

— ნეტავი ყოველთვის ეგრე კარგ გუნებაზე როგორა ხარ, სულ ხალისიანად რომ მინავარდობ და ტკბილად ღიღინებ.

— მიხარია და ვღიღინებ,—კეკლუცად მიუგო ნაკადულმა.

— ჰოდა, მეც სწორედ ის მინდა გავიგო, რა გახარებს?—ჰკითხა ხემ.

— განა ვერ ხედავ, რამდენ ცხოველსა და მცენარეს ვარწყულებ! ზოგჯერ ადამიანებიც ჩამოივლიან და ჩემი წყლით წყურვილს იკლავენ,—მიუგო ნაკადულმა და ბოლოს ლექსად ჩაიღიღინა: ყვავილებიც გავახარე, ფერი მივეც ბალახებს, სიცოცხლე ვარ ჯეჯილების, ვამაღლებ და ვალაღებ.

— მე კი... მე აბა რა შემიძლია. ნაყოფიც კი არა მაქვს, ვინმეს გავუმასპინძლდე,—აღმოხდა ხეს და კიდევ უფრო დაღონდა.

მეორე დღეს ხეს ციყვი ეწვია.

— გამარჯობა, მშვენიერო ხეო!—მიესალმა მასპინძელს,—შეიძლება შენთან ვიცხოვრო? შესანიშნავი ბინა მექნება ზამთრისათვის თხილის, კაკლის, სოკოსა და გირჩების შესანახად.

მეცნიერებმა ასეთი დასკვნა გააკეთეს, რომ კრუხი და წიწილები წიწილის გამოჩეკამდეც ესაუბრებიან ერთმანეთს. აი, დათა, შენ ხომ იცი, კრუხი საბუდარში ზოგჯერ დინჯად რომ ჩაიკრუხკრუხებს! თურმე რაღაცას ეუბნება თავის ჯერ გამოუჩეკავ პატარა წიწილას. ზოგჯერ წიწილა კვერცხიდან წიაქობს თურმე, თითქოს ამბობდეს, „გამომიშვი, დედა!“ კრუხი კი ამშვიდებს, „ჯერ ადრეაო“. ზოგჯერ თუ წიწილა დიდხანს არ იღებს ხმას, კრუხი შეშფოთდება და ჩაულულუნებს, „ხმას რატომ არ მცემ შვილო?“ — და პაწია წიწილაც ალერსიანი წიავით გამოეხმაურება.

გამოჩეკვის დროც მოვიდა. „წაკ-წაკ“ — ვერ ერევა წიწილის სუსტი ნისკარტი ნაჭუჭს და მისაშველებლად კრუხი ჩაუნისკარტებს კვერცხს. „აბა ახლა შენ იყოჩაღე, ღუნღულა“. და აი ნაჭუჭი გამოიმტვრა — სამზეოზე გამოვიდა ახალი ცოცხალი არსება. ახლა ის უკვე ხედავს დედას, რომელსაც მანამდე მხოლოდ სმენით და სითბოს შეგრძნობით იცნობდა. იწყება სიცოცხლე და დედის გვერდით გაბედულად დგამს პირველ ნაბიჯებს უმწეო წიწილა.

იცით კიდევ რა არის საინტერესო? ინკუბატორი გაგიგონიათ? ეს წიწილების ხელოვნურად გამოსაჩეკი აპარატია. ჰოდა, ინკუბატორის წიწილები ბევრად უფრო ძნელად, ბევრად უფრო გაუბედავად მოძრაობენ, ვიდრე დედა-კრუხისაგან წინასწარ გამხნევებული, საბუდარში დაჩეკილი წიწილები.


ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ციცინო გამყრელიძე**

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, — მიუგო
ხემ.
ციყვმა ფუღუროში ბინა გაიკეთა და მთელი
ზამთარი შიგ გაატარა.
გაზაფხულზე ორი ჩიტი მოფრინდა.
— გამარჯობა, კეთილო ხეო! — მიესალმნენ
ჟღურტულით ფრთოსნები, — ნებას დაგვრთავ,
შენს ტოტებში ბუდე გავიკეთოთ?
— მობრძანდით, მობრძანდით! — გულღიად მიი-
ღო ხემ სტუმრები.
ზაფხულში ხეს ფუტკრების დიდი გუნდი ეწვია.
— შეიძლება შენთან დავიდოთ ბინა და
ზამთრისათვის თაფლი აქ შევაგროვოთ? —
ბზუოდნენ ოქროსფერი მწერები.
— დიდი სიამოვნებით! — მიიპატიჟა ხემ.
გავიდა ხანი...

ერთ მშვენიერ დღეს ნაკადული შეეხმიანა ხეს:
— ამ ბოლო დროს ძალიან კმაყოფილი მეჩვე-
ნები, მხიარულად შრიალებ, რამ გაგახალისა,
მეზობელო?
— რატომ არ უნდა ვმხიარულობდე, ჩემო კარ-
გო. შენც ხომ იცი, რამდენი მეგობარი მეხვია
თავს მთელ წელიწადს... მეც ყველას დახმარების
ხელი გავუწოდე, — მიუგო ხემ და პასუხი სიმღე-
რით დაასრულა: გული სავსეა ხალისით, სიხა-
რულს ველარ იტევს, მეც ბინად გამოვადექი
ციყვებს, ფუტკრებს და ჩიტებს.
— განა არა!? სიცოცხლეს მაშინ აქვს აზრი,
როცა სხვებს ანიჭებ სიხარულსა და ბედნიერე-
ბას, — ჩაირაკრაკა ნაკადულმა.

**შოთა ამირანაშვილი**

# გააკეთე



მწვანე ფოთოლი მთელი ზაფხული ტოტზე იჯდა, საამოდ ილუმპებოდა წვიმით, შრებოდა მზის ჩახჩახა სხივებით. მერე შემოდგომა დადგა, დაუბერა ქარმა, მოწყდა ფოთოლი და მიწაზე დაეშვა.

— ვაშა, მეც თქვენთანა ვარ! — წამოიყვირა ფოთოლმა და უკვე მიწაზე მოფენილ ფოთლებს გადახედა.

— რა გიხარია?! — გაიოცეს მიწაზე მოფენილმა ყვითელმა ფოთლებმა, — განა ვერა ხედავ, შემოდგომა დადგა, ქარმა მიწაზე ჩამოგვფანტა და ახლა არც ხეს და არც სხვა ვინმეს აღარ ვჭირდებით.

— არა! — შეჰყვირა ფოთოლმა, — ვერ დავიჯერებ! ნუთუ მართლა აღარავის ვჭირდებით?! იქნებ კიდევ გამოვადგეთ ვინმეს?

— ვილას უნდა გამოვადგეთ?

— ხომ შეიძლება ჯადოქრები გვეწვიონ და იერი შეგვიცვალონ. მაგალითად, იქნებ პეპლებად გვაქციოს ვინმემ?



სასწაული მართლაც მოხდა. არა ჯადოქარმა, არამედ ბავშვების მარჯვე ხელებმა ეს პაწია, ობლად შთენილი ფოთლები თევზებად, სირაქლემებად, კურდღლებად, მელიებად, მამლაყინწებად გადააქციეს. ეს რა დიდებული რამ მოხდა! თურმე ხიდან ჩამოცვენილი ყვითელი ფოთლები შეიძლება ასე სასწაულებრივად გარდაიქმნან.

სცადეთ, შეეჯიბრეთ ერთმანეთს, რომელი უკეთესად გარდაქმნით შემოდგომის ფერად-ფერად ფოთლებს.





ეროვნული ბიბლიოთეკა






## ქაღალდის ჩიტი

გამოჭერი კვადრატული ფურცელი (ნახ. 1), გადაიტანე წყვეტილი ხაზები ისე, როგორც ეს მე-2 და მე-3 ნახატზეა ნაჩვენები. ა, ბ, გ, დ, ე ხაზებზე გადაკეცე ჩიტის ბოლო და ფრთები, მერე ისე გაღუნე, როგორც მეოთხე ნახატზეა ნაჩვენები. ჩიტის ბოლოზე ქაღალდი ჩაჭერი, ფრთები გადაუღუნე და ნისკარტი მოუხატე. შემდეგ შეღებე და მზად იქნება. ერთი რამ დაიხსომე: ქაღალდის ჩიტის გაკეთება არც ისე იოლია, ამიტომ გულდადებით დააკვირდი ნახაზებს. თუ ვერ გააკეთე, გული არ გაიტეხო, ერთხელ სინჯე, მეორედ სინჯე და ბოლოს საწადელს მიაღწევ.

აბა, შენ იცი!



# ძველი ხალხური ხუმრობანი

— ყური მიგდე, მიიბარე ჩემი შვილი, ასწავლე წერა-კითხვა.

— კი ბატონო, ვასწავლი.

— რამდენს გადამახდევინებ?

— ოცდაათ მანეთს.

— შენ ხომ არ გაგიჟდი! მაგ ფულით ვირს ვიყიდი.

— იყიდე, ბატონო! ორი ვირი გეყოლება.



* * *

ერთხელ გლეხმა ყვავი დაიჭირა და შინ მიიყვანა.

— რად გინდა ეგ ყვავი? — გაუკვირდათ მეზობლებს. — ყვავისგან რა ხეირია!

— ამბობენ ეს ფრინველი ორას წელს ცოცხლობსო, — უპასუხა გლეხმა, — იყოს ჩემთან, ვნახავ ერთი, მართლა ასეა თუ არა.



* * *

ერთ გლეხს მეზობელმა მიაკითხა:

— მათხოვე შენი სახედარი, საფქვავი მაქვს წისქვილში წასაღები.

— სიამოვნებით გათხოვებდი, მაგრამ საბალახოდ რომა მყავს გადენილი!

ამ დროს საჩეხიდან ვირმა დაიყროყინა.

— აკი საბალახოდ მყავს გადენილიო? — შეცბა მეზობელი.

— შენი საქმე მიკვირს, ჩემი არა გჯერა და ვირს უჯერებ?! — არ დაიბნა გლეხი.



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე





უშანგ სახლთხუციშვილი

## თეთრი დათვი

ენის გასატეხი

ათი—ბათი
თეთრი დათვი,
ოთხი თათი—
მოქათქათე.
სამი ბელი—
დრუნჩ-წითელი,
ვინ დაითვლის
იმათ თათებს?

აბა თუ მიხვდები რა და რა განსხვავებაა ამ ორ სურათს შორის.



## თავსატეხი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები გარეული და შინაური ფრინველების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ სიტყვა „მთაწმინდა“.

შეადგინა ქ. სოხუმის საშუალო სკოლის მოსწავლემ **კობა კურდღელიამ.**

## გამოცანა

რაც უნდა ღეჭონ კიჭებმა,
არც დნება და არც იჭმევა,
დღეს რომ თინიკოს მოართვეს,
ნაძვზე მოკრიფეს ბიჭებმა.

(ისრ)

**შოთა სტეფნაძე**

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის

გამოცემის 64-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

ყდაზე ნახატი ედუარდ ამზოკაძისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამზოკაძე, ილია ანთელავა, კუკური ბოგიაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, ზურაბ ლეჟავაშვილი (პ/მგ მდივანი), მანანა კობახიძე, ველა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე, მერი წიკლაური, გივი ჟიჟინაძე.

ტექრედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15: პ/მგ მდივნის — 93-41-30, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 5/IX-81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/X-81 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 168.000. შეკვ. № 2103. „Дила“ № 10. журнал для младшеклассников. на грузинском языке. Главный редактор **М. Мачаварнани.** Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 20 კაპ.

ნ 131/161

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა



აბა თუ გამოიცნობთ, რომელი ხალხური ზღაპრის ილუსტრაციაა ეს?
(ნახატი ქართული ზღაპრების ცნობილი ილუსტრატორის სოსო გაბაშვილისა).